თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2018 წლის 27მარტის სხდომის ოქმი #5

დღის წესრიგი

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

2. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის საბჭოს ყოფილი თავჯდომარის, პროფ. თ. ბერიძის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით დასახელდა ფაკულტეტის საბჭოს #5 სხდომის თავმჯდომარე - პროფ. ე. მექვაბიშვილი.

პროფ. ე. მექვაბიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრისშედეგები: **მომხრე – 26**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის27 მარტის #5 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლოპროგრამების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსიე. ხარაიშვილი/

ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციაზე წარსადგენია შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. საბაკალავრო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება”

2. სამაგისტრო პროგრამა,,ბიზნესის ადმინისტრირება”

3. სადოქტორო პროგრამა,,ბიზნესის ადმინისტრირება”

4. სამაგისტრო პროგრამა ,,ტურიზმი“

5. ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა: თსუ- მხრიდან დასახელება ,,ტურიზმი", საფრანგეთის ლიონ2 უნივერსიტეტის მხრიდან ,,ტურიზმი, დასვენება, კულტურული მემკვიდრეობა“.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა:

1. საბაკალავრო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“

ა/ პროგრამის ხელმძღვანელებად წარმოდგენილიაპროფესორები: ნ. თოდუა, თ. შენგელია, ი. კოვზანაძე, ე. ხარაბაძე, დ. ნარმანია, დ. სიჭინავა, ი. ხელაშვილი.

ბ/ არჩევით საგნად წარმოდგენილია სასწავლო კურსი ,,C++ პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში“ (სილაბუსის ავტორები: პროფ. დ. სიჭინავა, მოწვეული პერსონალი რ. ბერაძე); წინაპირობებად განისაზღვროს: ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2, სტატისტიკა 1).

გ/ სასწავლო კურსებში: ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1“ (5 კრედიტი), ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2“ (5 კრედიტი), ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ (10 კრედიტი)გაერთიანდა პროფ. თ. შენგელიასა და ასოც. პროფ. უ. სამადაშვილის სილაბუსები.

დ/ საგნის ,,საერთაშორისო ბიზნესი“ სილაბუსის ავტორებად განისაზღვრა პროფ. თ. შენგელია; ასოც. პროფესორები:. უ. სამადაშვილი, ხ. ბერიშვილი.

2. სამაგისტრო პროგრამები:

2.1 ,,ბიზნესის ადმინისტრირება“

ა/ პროგრამის ხელმძღვანელებად წარმოდგენილია პროფესორები: ი. კოვზანაძე, ნ. თოდუა, თ. შენგელია, ე. ხარაბაძე, დ. ნარმანია, დ. სიჭინავა, ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე.

ბ/ არჩევითი საგანი ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“ ჩანაცვლდა საგნით ,,საერთაშორისო ორგანიზაციები“ (სილაბუსის ავტორი ლ. ხიხაძე).

გ/ საგანში ,,გლობალური ბიზნესი“ (სილაბუსის ავტორი პროფ. თ. შენგელია) განახლდა ლიტერატურა.

2.2 ,,ტურიზმი“ - მისანიჭებელი ხარისხი ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი“

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი პროფესორი ი. ხელაშვილი

2.3 ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა: თსუ- მხრიდან დასახელება ,,ტურიზმი", საფრანგეთის ლიონ 2 უნივერსიტეტის მხრიდან ,,ტურიზმი, დასვენება, კულტურული მემკვიდრეობა“.

3. სადოქტორო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება

ა/ პროგრამის ხელმძღვანელებად წარმოდგენილია პროფესორები: ნ. თოდუა, თ. შენგელია, ი. კოვზანაძე, ე. ხარაბაძე, დ. ნარმანია, დ. სიჭინავა, ი. ხელაშვილი.

ბ/ საგანი ,,კვლევის მეთოდები“ არჩევითის სტატუსიდან გადავიდა სავალდებულოდ შემდეგი დასახელებით ,,კვლევის მეთოდები (სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში)“, 5 კრედიტი.

გ/სემინარი - 10 კრედიტი (ნაცვლად 15 კრედიტისა)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციაზე წარსადგენად დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი საგანმანათლებლო პრროგრამები:

1. საბაკალავრო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება”

პროგრამის ხელმძღვანელები - პროფესორები: ნ. თოდუა, თ. შენგელია, ი. კოვზანაძე, ე. ხარაბაძე, დ. ნარმანია, დ. სიჭინავა, ი. ხელაშვილი.

2. სამაგისტრო პროგრამები:

2.1 ,,ბიზნესის ადმინისტრირება”

პროგრამის ხელმძღვანელები - პროფესორები: ი. კოვზანაძე, ნ. თოდუა, თ. შენგელია, ე. ხარაბაძე, დ. ნარმანია, დ. სიჭინავა, ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე.

2.2 ,,ტურიზმი“

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი პროფესორი ი. ხელაშვილი

2.3 ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა: თსუ- მხრიდან დასახელება ,,ტურიზმი", საფრანგეთის ლიონ2 უნივერსიტეტის მხრიდან ,,ტურიზმი, დასვენება, კულტურული მემკვიდრეობა“.

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ი. ხელაშვილი, პროფესორი ი. ლეფორტი.

3. სადოქტორო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება”

პროგრამის ხელმძღვანელები - პროფესორები: ნ. თოდუა, თ. შენგელია, ი. კოვზანაძე, ე. ხარაბაძე, დ. ნარმანია, დ. სიჭინავა, ი. ხელაშვილი.

მოისმინეს:,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ” სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ.ლობჟანიძე/

მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის #77 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. მან საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული ცვლილებები.

მ. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტურის დებულებაში გამორჩენილია სასწავლო კურსი - ,,მეცნიერების კომერციალიზაცია“, რომელსაც კითხულობს მოწვეული პროფესორი იოსებ მასურაშვილი. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ საბჭოს თანხმობა იქნება, გამორჩენილი სასწავლო კურსი შეტანილ იქნება დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფ. თ. შენგელიამ. მან აღნიშნა, რომ ეს საგანი პროგრამიდან ამოღებულია და ამიტომ ვერ მოხდება მისი დამატება.

საბჭოს თავმჯდომარემ პროფ. ე. მექვაბიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ის კენჭისყრაზე დააყენებს იმ ცვლილებებს, რომელთა გათვალისწინება არის სავალდებულო, ხოლო ამ უკანასკნელს საბჭო განიხილავს მოგვიანებით.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. თ. თოდუამ, პროფ. ე. ხარაიშვილმა.

პროფ. ნ. თოდუამ აღნიშნა შემდეგი: ,,პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენა სერიოზული საფრთხის ქვეშაა. პროგრამებში შემავალი სილაბუსების წაკითხვა შეუძლებელია მოკლე დროის მანძლზე. ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე, ცხადია, პროგრამის ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ გონივრული ვადა, გაეცნონ სილაბუსებს. მარტო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 63 სილაბუსს, სამაგისტრო პროგრამა - 88 სილაბუსს. ძნელი წარმოსადგენია, 151 სილაბუსის წაკითხვა როგორ უნდა შეძლოს ადამიანმა ასეთ პირობებში. თანაც, უნდა შევადაროთ, თითოეული სილაბუსი რამდენად თანხვედრაშია პროგრამის საერთო მიზნებთან და სწავლის შედეგებთან ან პირიქით, პროგრამის მთლიან სტრუქტურაში მოცემული მიზნები და სწავლის შედეგები ნამდვილად ასახულია თუ არა შესაბამის სილაბუსებში. დავუშვათ, ზოგიერთ სილაბუსში ასეთი შესაბამისობა არაა, მაშინ რას ვაკეთებთ? ამას დავუმატოთ ყველაზე მთავარი - სილაბუსების შინაარსობრივი მხარე. როდის უნდა დავადგინოთ, სილაბუსებში მოცემული საკითხები რამდენად რელევანტურია ან ხომ არაა დუბლირებული?მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, მართლაც, სახარბიელო არაა. აღნიშნულის თაობაზე რამდენჯერმე განვაცხადე პროფესორთა შეხვედრაზე, კომიტეტის სხდომებზე.

2011 წელს, როცა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სააკრედიტაციოდ წარვადგინეთ, ერთ თვეზე მეტი დღე და ღამე ვმუშაობდით და პროგრამაში მონაწილე პროფესორებს, ხარისხის სამსახურთან ერთად, უზარმაზარი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ პროგრამა სათანადო დონეზე მიგვეყვანა. პირადად მე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, სათითაოდ გავეცანი ყველა სილაბუსს, ავტორებთან შეთანხმებით, ბევრი რამ ჩავასწორეთ და მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისად შევადგინეთ რუკა. მაშინ მხოლოდ ერთ პროგრამაზე ვმუშაობდით, დღეს არის სამი.

გაურკვეველი მდგომარეობაა სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით. სამწუხაროდ, წელიწადზე მეტია, ფაკულტეტზე სადოქტორო დისერტაციების დაცვა შეჩერებულია და დოქტორანტები, რომლებმაც დისერტაციები არსებული წესის შესაბამისად წარმოადგინეს,

დაცვას ვერ ახერხებენ. ბუნებრივია, ყოველივე ეს (სხვა ფაქტორებთან ერთად) აისახება საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ ჩვენი პროგრამების შეფასებასა და იმიჯზე. სწორედაც, იმიჯზე, ვინაიდან, როგორც კარგად მოგეხსენებათ, ყველაზე მთავარი, რაც ორგანიზაციამ ბაზარზე საქმიანობისას უნდა მოიპოვოს, ეს არამატერიალური კაპიტალის - იმიჯის ფორმირება და შემდეგ მისი შენარჩუნებაა. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ დღეს ბაზარზე იყიდება არა პროდუქტი (რაც უკვე ბიზნესის მართვის მოძველებული შეხედულებაა), არამედ ბრენდად ქცეული ანუ ბრენდული პროდუქტი და ორგანიზაციები უზარმაზარ თანხას ხარჯავენ, რათა თავიანთი პროდუქტი ბრენდად აქციონ. სამწუხაროდ, ჩვენი ბრენდი (თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საუკეთესო პროფესურა და ძლიერი სტუდენტობა) თანდათანობით კარგავს მიმზიდველობას, რასაც არსებული რეალობა (მისაღები კონტიგენტის აუთვისებლობა, მობილობით გადმომსვლელ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა და მრავალი სხვა) ნათლად ადასტურებს.“

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: განხორციელდესაღნიშნული ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში (იხ.დანართი).

მოისმინეს: აკად. ა. სილაგაძის გამოსვლა

აკად. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ფაკულტეტზე შექმნილი მდგომარეობა არასახარბიელოა ფაკულტეტზე ვაკანტური ადგილების მხრივ. მან ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე. კერძოდ იმაზე, რომ ერთ-ერთ საბჭოზე დაისვა საკითხი შეგვესწავლა ევროპული გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, კერძოდ როგორ ისწავლება მატემატიკა. მან მიმართა ქ-ნ ე. ხარაიშვილს და თქვა, რომ მისთვის ცნობილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა რა ეს საკითხი, აღმოჩნდა რომ ასე სიღრმისეულად არსად არ ისწავლება მათემატიკა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. მან მათემატიკოსებთან ჰქონდა საუბარი და ის სილაბუსი, რომლითაც მატემატიკას ისწავლება, არ არის საუკეთესო. უნდა მოხდეს სილაბუსისგადამუშავება. არ შეიძლება ერთი და იგივე პირპოვნება ექსკლუზიურად კითხულობდეს მატემატიკის კურსს. სტუდენტებს უნდა ჰქოდეთ არჩევანის საშუალება. მან სთხოვა ე. ხარაიშვილს, დაუკავშირდეს მატემატიკის კათედრას აღნიშნულ საკიტხთან დაკავშირებით, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება

აარჩიონ მისთვის მისაღები ლექტორი. მან ასევე აღნიშნა, რომ არ უნდა პირველ კურსზე არ უნდა ისწავლებოდეს ისეთი საგნები, რომელსაც სტუდენტი ვერ დაძლევს და იმედი გამოტქვა, რომ მომავალში ერთობლივი მუშაობით ეს გათვალისწინებული იქნება.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან აღნიშნა, რომ ის სრულიად ეთანხმება აკად. ა. სილაგაძის მოსაზრებას მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებით. მას საუბარი ჰქონდა რაზმაძის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან და მათ აღნიშნეს, რომ სამწუხაროდ მათი კოლეგები არ ასწავლიან იმას, რაც მნიშვნელოვანია,არ ასწავლიან იმას, რაც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებს სჭირდებათ. არ შეიძლება სრული მონოპოლია ჰქონდეს მატემატიკის ერთ ლექტორს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. არის კადრები, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას ასწავლონ სტუდენტებს ის, რისი დაკვეთაც ფაკულტეტს ექნება. საჭიროა ამ საკითხის პრინციპულად გადაწყვეტა.

პროფ. ე. ხარაიშვილი - მან აღნიშნა, რომ მოხდა შუალედური რეაგირება ახალ სიალბუსებთან დაკავშირებით. მათ მიმართეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და მოითხოვეს სილაბუსი, რითიც ხდება მატემატიკის შესწავლა ჩვენს ფაკულტეტზე. გაირკვა, რომ ლექტორი, რომელიც ასწავლის ჩვენს ფაკულტეტზე მათემატიკას, ეს პიროვნება არ არის მათი ფაკულტეტის წარმოამდგენელი. მან აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტირების მიმართულებით სავსებით საკმარისიამათემატიკის სწავლება 5 კრედიტის მოცულობით. საჭიროა ფაკულტეტმა მიმართოს წერილობით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, რათა დაემატოს ლექტორების რაოდენობა სილაბუსში და შეიქმნას კონკურენტული გარემო.

აკად. ა. სილაგაძე - მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე შეიმჩნევა ზერელე დამოკიდებულება საბჭოს წევრებისადმი. საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილიებებს არაფრად აგდებს ის, ვისაც ევალება საბჭოს მიერ მირებული გადაწყვეტილებებისშესრულება და კონტროლი. საბჭო იღებს დადგენილებებს და ამას არავინ ითვალისწინებს და ამის თაობაზე არც ინფორმაცია არსებობს.

აკად. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დამტკიცების დროს მან დასვა საკითხი,რათა შემოწმებულიყო ბიუჯეთთან ანგარიშწორების საკითხი ISET-თან დაკავშირებით. დეკანმა და საბჭოს ყველა წევრმა მაშინ მხარი დაუჭირა ამ სამართლიან მოთხოვნას.ჯერ კიდევ დეკემბრის თვეში საბჭოზე დადგა საკითხი გარკვეულიყო რამდენად სწორად ხდება ბიუჯეტთან ანგარიშწორება თუნდაც უცხოეთიდან დაფინანსებული ჰონორარების გაცემასთან მიმართებაში. მაშინ პროფ. ნ. ხადურს ეთხოვა ჩართულიყო ამ სამუშაოებში, შეექმნა კომისია, რათა საბჭოს ჰქონოდა სრული ინფორმაცია. ამ საბჭოს სხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება, საბჭოს დადგენილება, ვადა თებერვალში გავიდა და კომისიაც კი არ შექმნილა ამ საკითხთან დაკავშირებით. ფაკულტეტის დეკანს უნდა შეექმნა კომისია, ამჯამად კი კომისიის შემოწმების მასალებს უნდა ვეცნობოდეთ... ეს არის შეურაცხყოფა და ასეთი ფაქტები ბევრია.

აკად. ა. სილაგაძემ ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს #4 სხდომაზე დადგა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეულიყო, ესწრებოდა თუ არა ფაკულტეტის წარმომადგენელი შეხვედრას, სადაც მოხდა სამწლიან საბაკალავრო სწავლებაზე გადასვლის შეთანხმება. მაშინ საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ ის მხარს უჭერდა ამ წინადადებას და წერილი ადმინისტაციაში გაიგზავნებოდა ორშაბათს იმის თაობაზე, რომ განემარტათ, თუ როგორ მოხდა ეს შეთანხმება. დადგენილებაში ეს ჩაწერილია, მაგრამ წერილი არ გაგზავნილა და შესაბამისად საბჭოს არ აქვს პასუხი. ამრიგად საბჭო და საბჭოს თავმჯდომარე არის ცალკე და არავინ აგებს პასუხს ამაზე.

მივლინებებთან დაკავშირებით აკად. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის თანხები არ უნდა დაიხარჯოს წლის დასაწყისშივე. მან გაიხსენა საუბარი პროფ. დ. ნარმანიასთან, სადაც გამოითქვა მოსაზრება, რომ სამივლინებო თანხები გაიწერებოდა კვარტლების მიხედვით.აკად. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ მან, როგორც საბჭოს წევრმა, წერილობით მიმართა დეკანს, სამივლინებო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით, რაზეც პასუხი არ მიუღია. ამის უფლება არ აქვს არავის, რომსაბჭოს არ მისცეს პასუხი შეკითხვებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ წერილობით მოითხოვა ერთ-ერთი ცენტრის დებულება, რომელიც უნდა იყოის ინტერნეტში განთავსებული. ერთი კვირის შემდეგ კი მიიღო პასუხი, რომ დებულებას ვერ მიიღებს. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომცენტრის დებულება საჯარო ინფორმაციაა და დებულების დამალვა არასამართლიანია. ეს არის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბება. მან დასვა შეკითხვები: რატომ ხდება დებულების დამალვა აღნიშნულ ცენტრთან მიმართებაში? არის თუ არა თანხები გადარიცხული ფაკულტეტის და თსუ ბიუჯეტიდან და თუ დებულება არ არის, რის საფუძველზე რიცხავს უნივერსიტეტი და ფაკულტეტი თანხებს ამ ცენტრის ანგარიშებზე?

აკად. ა სილაგაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს ერთ-ერთ ოქმში არის ჩანაწერი ცენტრი ,,იდეას“ დებულების დამტკიცების თარიღის შესახებ და ეს არის 2009 წლის 10 ივლისი. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ 2009 წლის ოქმები არ არის ინტერნეტში განთავსებული და აქედან გამომდინარე შეუძლებელი იქნებოდა დებულების მოძიება. მაგრამ მან მოვიპოვა ეს ოქმი და იქ მსგავსი ჩანაწერი არ არის. მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როდესაც ის მიიღებს ყველა ინფორმაციას, ამის თაობაზე საბჭოს აცნობებს. მან ასევე გამოთქვა გულისტკივილი იმის შესახებ, თუ რატომ ხდება იმის დამალვა, ისრაელში რა ხელშეკრულება დაიდო ფაკულტეტის მხრიდან, მით უფრო, რომ ეს ვიზიტი იყო მეტად საინტერესო და ნაყოფიერი.

აკად. ა. სილაგაძემ ბოლოს დასძინა, რომ საჭიროა ყველა დარღვევათან თუ გადაცდომასთან დაკავშირებით ფაკულტეტმა მიიღოს ინფორმაცია და ის პირადად უზრუნველჰყოფს ამას.

აზრი გამოთქვა ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა. მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ამ საკითხებზე მსჯელობა მაშინ, როდესაც ყოფილი დეკანი და საბჭოს თავმჯდომარე ესწრებოდა საბჭოს სხდომას. საინტერესო იქნება სხვა კადნიდატებთან შეხვედრები, რადგან არის კითხვები. მან

ასევე აღნიშნა, რომ აუდიტის სამსახურმა დაასრულა თსუ-ში მუშაობა და საინტერესოა მათი დასკვნა. პასუხი ძალიან ზოგადია.

აღინიშნა, რომ ეს ინფორმაცია არ არის საჯარო.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: ე. მექვაბიშვილი

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე

დანართი

,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში:

1.1. დებულების მე-4 მუხლის 4.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებაზე ან აბარებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით. გასაუბრებაზე ან სპეციალობაში გამოცდაზე დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი. შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით."

1.2. დებულების მე-6 მუხლის 6.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.3. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე არაუმეტეს ხუთ დოქტორანტს. დასაშვებია ხუთზე მეტი დოქტორანტის თანახელმძღვანელობა."

1.3. დებულების მე-8 მუხლის 8.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.3. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სასწავლო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

დასახელება	**სტატუსი**	**კრედიტების რაოდენობა**
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
სემინარი	სავალდებულო	10 კრედიტი

აკადემიური წერა	სავალდებულო	5 კრედიტი
არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	არჩევითი	10 კრედიტი
კვლევის მეთოდები (სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკისა და ბიზნესში)	სავალდებულო[1]	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში	არჩევითი	10 კრედიტი

1.4. დებულების მე-8 მუხლს 8.3. პუნქტის შემდეგ დაემატოს 8.4. პუნქტი:

„8.4. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (5-30 კრედიტი) – იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური წარსულიდან (მინიჭებული კვალიფიკაცია) ან სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს სჭირდება გარკვეული დარგობრივი კომპეტენციების დამატებით შეძენა, მას აქვს უფლება თავისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) შეთანხმებით გაიაროს ესა თუ ის სასწავლო კურსი, რომელიც შემოთავაზებულია მთელი საუნივერსიტეტო კურიკულუმის ფარგლებში (ეს ეხება განსაკუთრებით იმ დოქტორანტებს, რომლებიც დოქტორანტურაში იცვლიან სპეციალობას). ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სასწავლო კურსების გავლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელიც სწავლების მესამე საფეხურზე იცვლის სპეციალობას. ამ შემთხვევაში დოქტორანტს არ ენიჭება კრედიტები, თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსები მას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს სპეციფიკური დარგობრივი ცოდნა და გამოიმუშავოს გარკვეული დარგობრივი თუ ტრანსფერული უნარები, სადისერტაციო ნაშრომის საჭიროებებიდან გამომდინარე.“

1.5. დებულების მე-20 მუხლის 20.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20.2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული). სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.“

[1] სავალდებულო 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხული დოქტორანტებისთვის

1.6. დებულების 21-ე მუხლს 21.4. პუნქტის შემდეგ დაემატოს 21.4[1]. პუნქტი:

,,21.4[1]. იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც დოქტორანტის სტატუსს მოიპოვებენ 2018-2019 სასწავლო წლიდან, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში."

1.7. დებულების 24-ე მუხლის 24.5. პუნქტის შემდეგ დაემატოს 24.6. და 24.7. პუნქტები:

„24..6. იმ სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრეთვე უცხოეთის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

24.7. იმ სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრეთვე უცხოეთის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს სადისერტაციო კომისიის შექმნის განსხვავებული წესი, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.“

1.8. დებულების 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი. დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებ-გვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე.“